მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი
სივანი
№5 (441)
(5778)
2018

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

რაბი ბარუხი მეჯიბოჯიდან ამბობდა, რომ შავუყოთის უფრო უნდა გვეშინოდეს ვიდრე როშ-ჰა-შანის. როშ-ჰა-შანაში წყდება ადამიანის მატერიალური მდგომარეობა, თუ რამდენი ექნება მას შემოსავალი დამდეგ წელს,შავუყოთში კი წყდება - მისი სულიერი ცხოვრება, თუ რას მიაღწევს ის თორაში ამ წლის განმავლობაში, ამიტომ გვმართებს უფრო მეტი თრთოლვა შავუყოთის წინაშე.

როდესაც ვაკურთხებთ თორის ბერახებს-ჩვენ ვამბობთ ფრაზას - „რომ ჰაშემი გვაძლევ თორას“ და არა - „რომ ჰაშემმა მოგვცა თორა“, იმიტომ რომ ჰაშემი ეხლაც გვაძლევს თორას - იმის მიხედვით, თუ როგორ ვიმსახურებთ. „მეორ ეინაიმ“ - თორის კომენტატორი-წერს, რომ ყველა ისრაელი იღებს თორას თავის დონის შესაბამისად, როდესაც ვიხედებით თალმუდში - ვხედავთ და ვიგებთ მას-ჩვენი დონის და დამსახურების შესაბამისად, რაც უფრო მეტი იცის ისრაელმა, უფრო მეტის მიღება შეუძლია თითოეული გვერდისგან.

თუ რას ვისწავლით დამდეგ წელს და რა დონეს მივაღწევთ თალმუდში, წყდება შავუყოთის ღამეს. ხოლო თავის მხრივ ამაზეა დამოკიდებული რამდენად ბრძენნი, კეთილნი, წესიერნი გავხდებით ამ პერიოდში, ან პირიქით — რამდენად ეგოისტი, გაუნათლებელი და ბოროტი.

ამიტომ ამ დღესასაწაულისთვის მაქსიმალურად უნდა მოვემზადოთ და გავატაროთ მთელი ღამე თორის სწავლაში.

თალმუდში ტრაქტატში „შაბათი“ არის ადგილი-რომელიც ეძღვნება თორის მიღებას - სადაც არის კამათი - როდის მივიღეთ თორა 6 თუ 7 სივანს?

თუმცა, საბოლოო ჯამში მაინც არ არის კამათი იმაზე თუ როდის ვზეიმობთ ამ დღესასაწაულს. რადგან წერია თორაში: რომ ის უნდა ავღნიშნოთ ფესახიდან ყომერის თვლის ორმოცდამეათე დღეს.

შავუყოთი - ეს არის ხუფა, ისრაელი ერის ქორწილი - ჰაშემთან, როგორც პატარძალი ირთობა და ღამაზდება ქორწილის წინ - ჩვენც ისრაელები ვლამაზდებით თორის 24 ნაწილისგან -თანახის 24 წიგნით. ამიტომ შავუყოთის ტიკუნი შედგენილია ამ 24 წიგნის სხვადასხვა ნაწილებისგან, დამატებულია ზოჰარის და სეფერ იეცირას ნაწილები და ასევე 613 მიცვა.

შლა ჰა კადოში იგონებს ერთხელ რაბი შლომო ალკავეცი (ლეხა დოდის ავტორი) და რაბი იოსეფ კარო (შულხან არუხის ავტორი) შავუყოთის ღამეს კითხულობდნენ თიკუნს, უცბად გაიგეს ხმა ზეციდან - რომ ჰაშემს აქვს კოლოსალური სიამოვნება მათი მოქმედებისგან - შავუყოთის თიკუნის კითხვისგან.

რაბი აჰარონ მდინარაძე

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

,,იერუსალიმის დიდი დღე, ისრაელის დიდი დღე, ამერიკის დიდი დღე“

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ ამერიკის შეერთებული შტატების ისრაელში საელჩოს თელ-ავიდან იერუსალიმში გადატანისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა და დაამთავრა უზენაესისადმი ვედრებით:

— ღმერთო, აკურთხე ისრაელი, აკურთხე ამერიკა!

აშშ სენატმა ჯერ კიდევ 24 წლის წინათ დაადგინა, რომ აშშ საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში უნდა იყოს, მაგრამ ყოველი პრეზიდენტი აყოვნებდა ამ დადგენილების ასრულებას. დონალდ ტრამპი აღმოჩნდა ის გმირული სულისკვეთების პრეზიდენტი, რომელიც არ დაერიდა არაბული სახელმწიფოების მუქარას და დადგენილება შეასრულა. 14 მაისს მან ვიდეო მიმართვა გამოუგზავნა საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებს

— ჩვენ დიდხანს ველოდით ამ დღეს — ასე დაიწყო თავისი მიმართვა პრეზიდენტმა.

და დაამთავრა შემდეგი სიტყვებით:

— ღმერთო, აკურთხე,იერუსალიმი, ღმერთო აკურთხე ისრაელი, ღმერთო აკურთხე პალესტინელები, ღმერთო აკურთხე ამერიკა!

სიტყვები წარმოთქვეს მეშვიდე თაობის იერუსალიმელმა — ისრაელის პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა, აშშ პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა ჯარედ კუშნერმა, ივანკა ტრამპმა.

იუდეველმა და ქრისტიანმა სასულიერო პირებმა წარმოსთქვეს კურთხევანი.

ეთიოპიიდან რეპატრირებულმა მომღერალმა ხაგით იასომ შეასრულა ლეონარდ ქოენის ,,ჰალილუია“

მიჰყავდა ცერემონიალი აშშ ელჩს ისრაელში დავიდ ფრიდმანს.

ისრაელი — 70

საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და მისი მეუღლის — შაბთაი და ლეა ცურის ეგიდით 10 მაისს ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღე შოთა რუსთაველის სახ.სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში აღინიშნა.

განვლილი 70 წლის განმავლობაში ისრაელის წარმატებებზე ყოფიერების სხვადასხვა სფეროში ვრცლად ისაუბრა ბ-მა შაბთაი ცურმა, მან დღესასწაულზე მოსულთ უამბო ებრაელი ხალხის მიერ განვლილ გზაზე გაფანტულობიდან სიონიზმის მოძღვრების შექმნამდე, შემდეგ კი იმაზე გაამახვილა ყურადღება სიონიზმის ლიდერები როგორ იბრძოდნენ ებრაელი ხალხის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, რაოდენი ძალისხმევა, სიცოცხლე გაიღო ერმა იმისათვის, რომ ამ მიზნისათვის მიეღწია.

ელჩის საუბრის მეორე ნაწილი თანამედროვე ისრაელს შეეხებოდა, იმას, თუ რაოდენ სიმაღლეებს მიაღწია ისრაელმა მეცნიერების, კულტურის, ახალმშენებლობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა, თუ მოწინავე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში.

ისრაელის ელჩმა ქართულ-ებრაულ ისტორიულ, საქართველო-ისრაელის მეგობრულ, პარტნიორულ ურთიერთობაზე ისაუბრა და ამ ურთიერთობის დასტურად გაიხსენა, რომ სწორედ დღეს — 10 მაისს საქართველოში ამუშავდა ახალი საავიაციო ქარხანა და ეს დიდი საქმე სწორედ ისრაელის თანადგომით გაკეთდა.

ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 70-ე წლისთავი მიულოცა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ,

ბატონმა ვიცე-პრემიერმა ისაუბრა საქართველოზე, იმაზე, თუ რაწარმატებას მიაღწია ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში, შეკრებილთ, ისრაელიდან ჩამოსულ სტუმრებს გააცნო საქართველოს სხვადასხვა სფეროს რეიტინგები და საქართველო-ისრაელის კეთილმეგობრულ ურთიერთობაზე შეჩერდა.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ისრაელის ეკონომიკისა და ინდუსტრიის განვითარების მინისტრმა ელი ქოენმა, რომელიც თავის თანმხლებ პირებთან ერთად თბილისში ახალი საავიაციო ქარხნის გახსნასთან დაკავშირებით ჩამოვიდა.

გაიმართა კონცერტი,რომელშიც მონაწილეობდნენ: თბილისის გოგონათა გუნდი, ,,ალილო“, ,,სუხიშვილები“, თემურ წიკლაური, თემურ ყვითელაშვილი, ჯემალ და ცისანა სეფიაშვილები, სოფო ბედია, ანრი ჯოხაძე, ვერიკო ტურაშვილი, ,,ქუჩის მუსიკოსები“, ირმა სოხაძე, ბადრი ჯანაშვილი, კაკული გურიელაშვილი, ნინო ჩხეიძე, მერაბ სეფაშვილი, ლელა წურწუმია და მორის ჯანაშვილი.

დასასრულს ქართველსმა და ისრაელელმა მომღერლებმა ერთად იმღერეს. ისრაელის ქართულენოვანი ტელევიზიის — ,,ჩვენი არხი“ — გენერალურმა დირექტორმა, მომღერალმა მორის ჯანაშვილმა კი შაბთაი ცურს, როგორც ,,ჩვენი არხის“ დიდი ხნის რესპოდენტს,სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

თბილისში ჩატარებული ისრაელის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო სწორედ ,,ჩვენი არხის“ მეშვეობით მთლიანად გადაიცემოდა ისრაელში.

მიხეილ მირილაშვილი: გილოცავთ გამარჯვების დღეს!

9 მაისს საყოველთაოდ აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე, რომელმაც 6 მილიონი ებრაელის სიცოცხლე შეიწირა. ფაშიზმის დამარცხებაში თავისი წვლილი შეიტანეს ებრაელებმა — ისინი თითქმის ყველა ფრონტზე იბრძოდნენ.ამ დიდ მოვლენას, ფაშიზმის დამარცხების საზეიმო დღეს, არც ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესმა აუარა გვერდი: მოაწყო საზეიმო მსვლელობა, ფლეშბომი, ხოლო კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა განაცხადა:

— დღეს ისრაელში სათავე ედება ახალ ტრადიციას — საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულთა და მათი შთამომავლების მეოხებით ყოველწლიურად აღინიშნოს ფაშიზმზე გამარჯვების დღე — მოეწყოს ფლეშბომი. ამ დღის ჩატარება საჭიროა არა მხოლოდ ვეტერანებისათვის, ახალი თაობებისათვისაც. მიხარია, რომ ამ ღონისძიებას სათავეს უდებს ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი, მიხარია, რომ ვმონაწილეობ ამ პროექტში.

ნათელა პატარკაციშვილი — 85

ქ-ნი ნათელა პატარკაციშვილი--კარგი შვილების აღმზრდელი და ქველმოქმედი პიროვნება (იგი საქართველოში მცხოვრებ ებრაელთაგან ის იშვიათი გამონაკლისია, ყურადღებას რომ არ აკლებს ,,ხესედ ელიაჰუს“) 85 წლისა გახდა.

ამ ქალბატონის ცხოვრების გზაზე ტკივილიც ბევრი ყოფილა და სიხარულიც, მაგრამ ვერა-რა სიხარული ვერ გადაფარავს იმ ტრაგედიას, რაც მისი ვაჟის--დიდებული ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან გახლავთ დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ქ-მა ნათელამ შეინარჩუნა საულიერი მხნეობა და კვლავაც საზოგადო პიროვნებად დარჩა.

და არა მხოლოდ საზოგადო, საზოგადოებისათვის საჭირო პიროვნებად!

მრავალჟამიერ, ქალბატონო ნათელა!

გაზეთ ,,მენორას“ რედაქცია

მათ დატოვეს ნათელი კვალი



ხუხაშვილი ზინა 1923-1997 | შკოლნიკი ლიზა 1923-1993 | ხვოლეს იდა 1923-2004 | ფიჩხაძე სონია 1923-1996 | ბინიაშვილი იოხაბედ 1923-2013 | იაკობიშვილი ირა 1923-2000 | გაგულაშვილი ლილი 1923-2012 | მეგრელიშვილი ბეტი 1923-2011 | მეგრელიშვილი სარა 1923-2008

დავითაშვილი სარა 1923-1990 | ბაბალიკაშვილი ვერა 1924-2010 | ბოტოშვილი რუთი 1924-1991 | ვაინშტეინ ელიონორ 1924-2008 | დავარაშვილი სარა 1924-2014 | დავითაშვილი რაია 1924-2000 | თოფჩიაშვილი ეთერი 1924-1993 | იაკობიშვილი ირა 1924-1975 | კრიხელი თამარი 1924-2012

მეგრელიშვილი ფანია 1924-1988 | ხანაშვილი ნელი 1924-2010 | ტეიტელ ევა 1924-2001 | ფიჩხაძე ნორა 1924-1992 | ჯანაშვილი ლიზა 1924-2010 | ელუაშვილი პესია 1925-2017 | იაკობაშვილი ნორა 1925-1994 | ისრაელაშვილი ანა 1925-2000 | მაწონაშვილი რივკა 1925-1994

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს“. ეს მერამდენედ წარმოაჩინა ჩვენი თემის სასიქადულო შვილი, პროფესორი დოდო ჩიკვაშვილი, მისმა შემოქმედებამ, რომელიც ყოველთვის მიმართულია თემის და ერის სამსახურისკენ. ამჯერად კი, 24 აპრილს ბათ იამის „აუდიტორიუმში“ გაიმართა საღამო თემაზე: „საქართველოს მანდილოსნები, რომელთაც დატოვეს ნათელი კვალი“. რაღა თქმა უნდა, რომ საღამოს სულისჩამდგმელი და უმაღლეს დონეზე წამყვანი, იყო ჩვენი დროის უნიჭიერესი, სათნო და გამორჩეულად ღირსეული ქალბატონი დოდო ჩიკვაშვილი. თავად თემა დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვდა, მაგრამ ქ-ნი დოდო, მიუხედავად თავისი დაკავებულობისა, არად დაგიდევთ, თუკი საერო საქმე კეთდება. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს განათლებულ ებრაელ ქალთა მთელი პლეადა, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით (ბოლო 150 წლის განმავლობაში) წარუშლელი და ნათელი კვალი დატოვეს. უამრავი კითხვა დამებადა ამ საღამოსთან დაკავშირებით, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა და ყველას სიამაყის ამაღლებული გრძნობა მოჰგვარა. ამიტომაც ვესტუმრე მას სასაუბროდ.

ლია კრიხელი: ქალბატონო დოდო, სად და როდის დაიბადა ეს იდეა, უკვდავგეყოთ იმ ამაგდარი ქალბატონების სახელები?

დოდო ჩიკვაშვილი: დაახლოებით ნახევარი წლის წინათ ერთმა შემთხვევამ დამაფიქრა და მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს ჩემი საქმე და საკეთებელია, ყველამ თვალნათლივ დაინახოს, როგორი დედები და ბებიები გვყავდა, რა ფესვებიდან მოვდივართ. ეს ჩვენმა თაობამ უნდა მიანოდოს მომავალ თაობებს, ამ სახელებს დავიწყება არ ეგების. ისინი მამაკაცების გვერდი-გვერდ მოღვაწეობდნენ ყველა დარგში. როგორც ებრაელ ქალს შეშვენის, მანდილი მოსავდა მათ და ამიტომაც შედარებით უხმაუროდ მიმდინარეობდა მათი საქმიანობა.

ლ.კ. და რატომ მხოლოდ 1872 წლიდან?

დ. ჩ. ჩემო ლია, საქმე იმაშია, რომ საქართველოში პირველი უმაღლესი განათლების დაწესებულება 1917 წელს დაარსდა — სარაჯიშვილის სახ. თბილისის კონსერვატორია, 1918 წელს კი ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამის შემდეგ თანდათან დანარჩენი ინსტიტუტები. 1902 წელს თბილისში უკვე არსებობდა რელიგიური სკოლა ქართველი ებრაელი ბავშვებისთვის. სხვა ქალაქებსა და დაბებში სკოლამდელი ასაკის ვაჟებს „ხედერში“ აბარებდნენ ებრაული განათლებისა და იუდაიზმის საფუძვლების შესასწავლად, გოგონებს ხელსაქმეს ასწავლიდნენ: კერვას, ქარგვას. სკოლის შემდეგ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ეუფლებოდნენ მედდის, ბუღალტრის, ან დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა პროფესიებს. მე-20- საუკუნეში ჩვენი ქალბატონები იყვნენ ექიმები, იურისტები, მუსიკოსები, მეცნიერები და ა. შ.

ლ.კ. წარმომიდგენია, რა რთული იქნებოდა მასალების მოპოვება.

დ.ჩ. ყოველგვარი ყალბი მოკრძალებულობის გარეშე, იმაზე რთული, ვიდრე მე თვითონ წარმომედგინა, როცა დავიწყე მონაცემების შეგროვება. მარტო ვერაფერს გავხდებოდი, თუ არა ის ადამიანები, ვინც ერთგულად დამიდგა გვერდში და დახმარება გამიწია. მე ვთხოვე იმ რეგიონების წარმომადგენლებს, სადაც ებრაელები ჭარბად სახლობდნენ, როგორიცაა თბილისი, აჭარა, აფხაზეთი, კულაში, ქუთაისი, რაჭა, ახალციხე, ცხინვალი და სხვა, შეძლებისდაგვარად მოეძიებინათ ზუსტი ცნობები მათი განათლებისა და საქმიანობის შესახებ. ზოგიერთი ქალბატონის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებიც კი არ იყო ცნობილი. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონებს: ლილი დანიელაშვილს, ნათელა გორელაშვილს, კლარა ვინოკურს, ზიზი ელიაშვილსა და ლეა ფიჩხაძეს. მათ ჭეშმარიტად გაითავისეს ეს საქმე და მე ამას არ დავივიწყებ. ძალა ხომ ერთობაშია.

ლ. კ. თქვით რომ ამ სიას შევსება სჭირდება, როგორ წარმოგიდგენიათ ეს?

დ. ჩ. მე იმ საღამოსვე მივმართე დამსწრე საზოგადოებას, რომ თუ ვინმე გამომრჩა, დიდსულოვნად მომიტევონ და ერთიანი ძალებით, თქვენს მიერ მოწოდებული მასალებით, სია შეივსება. მერწმუნეთ, ისინი იმსახურებენ ამას. ხუთასამდე ქალბატონის სახელია შეტანილი ამ პროექტში და თითოეული იმსახურებს პერსონალურად გამოყოფას, მაგრამ მეტად დასანანია, რომ ერთი საღამოს ჩარჩოებში ამის ჩატევა შეუძლებელია.

ლ.კ. ეს არ არის თქვენი პირველი პროექტი. ყველას გვახსოვს 2014 წელს ბარ ილანის უნივერსიტეტში ბატ. შაბთაი ბირანის მიერ განხორციელებული ღონისძიება თემაზე: საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა. თქვენ იქ წარმოაჩინეთ ჩვენი თემის ყველა დროის მეცნიერთა თანავარკვლავედი სხვადასხვა სფეროში: საბუნებისმეტყველო, მედიცინის, ჰუმანიტარული, ხელოვნების, ზუსტი მეცნიერებებისა და ეკონომიკის დარგში.

დ. ჩ. „სასარგებლო იყო ეს მოვალეობაა“ (ვიქტორ ჰიუგო). მე ვცდილობ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო თემის ცხოვრებბაში. თემი არ არსებობს წარსულის გარეშე, თუმცა მაშინ თანამედროვე მოღვაწე მეცნიერებიც დასახელდნენ. მე მეამყება, რომ ამ თემის შვილი ვარ და მე ჩემი, თქვენ თქვენი და ყველამ თვის საკეთებელი რომ აკეთოს, თემის სახელოვნად წარმოსაჩენად და არა საკუთარი თავის, მაშინ დავუტოვებთ ჩვენ მომავლებს ისეთ მემკვიდრეობას, რომ თავაწეულებმა თქვან „ვისი გორისანი არიან“.

ლ. კ. დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის მთავარ თემას. რა წყაროებიდან მოიპოვეთ ის ისტორიული ფაქტები, რაც მაყურებელმა ეკრანზე იხილა?

დ. ჩ. გარდა იმ სლაიდებისა, რომლებიც შეიცავდნენ აწგანსვენებული ქალბატონების სურათებს, თქვენ ნახეთ და მოისმინეთ ისეთი ისტორიული ფაქტები, რაც მოვიძიე ჩვენი ისტორიკოსების ნაშრომებიდან და უკვე გამოცემული წიგნებიდან. სიამოვნებით დავასახელებ მათ გვარებს: ნათან ელიაშვილი, გერშონ მეგრელიშვილი, იცხაკ დავიდი, კონსტანტინე ლერნერი, გერშონ ბენ–ორენი, აბონ ციციაშვილი, ელდარ მამისთვალაშვილი, ზოია ჯინჯიხაშვილი, იაკობ ოფირი, ლილი ბააზოვი.

ლ. კ. მართლაც შრომატევადი პროექტია, რაც სათანადოდ შეაფასა ყველამ. გამომსვლელთა შორის ჩვენი თემის ავტორიტეტულმა, ღირსეულმა წარმომადგენლებმა მიაგეს პატივი მათ ხსოვნას. ესენი იყვნენ: პროფ. დავით ბააზოვი, დოქტორი იაკობ ოფირი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი ნუგზარ ჯანაშვილი, პროფ. შალომ დავითი. მათი აზრით, გაგრძელება უნდა მიეცეს ამ საშვილიშვილო საქმეს, რამეთუ მსგავსი მასალები მხოლოდ გაამდიდრებს ნებისმიერი მუზეუმის არქივს და კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი თემის პრესტიჟს.

დ. ჩ. მინდოდა, რაც შეიძლება მეტი თვალსაჩინო მასალა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამიტომ იყო ნაჩვენები იმ წიგნების სრული ნუსხა, რაც ამ ქალბატონების კალამს ეკუთვნის. არის ეს ლექსაბის კრებული, თუ ისტორიული მასალები. სურათების წარსადგენად ქრონოლოგია გამოვიყენე, ხოლო სპეციალობები და დასაქმების სფერო, ალფაბეტის მიხედვითაა ჩამოყალიბებული.

ლ. კ. ქალბატონო დოდო, თქვენ ისიც კი განსაზღვრეთ, რომ დარბაზის ფოიეში დადგმულიყო მაგიდა სანთლებით სავსე ლარნაკებით. ყველას ჰქონდა საშუალება მათი სულის მოსახსენებლად აენთო სანთელი. სანთლების ლიცლიცის შუქზე შეამჩნევდით ყველას თავლებში მომდგარ ცრემლს, მაგრამ სიამაყის დაუფარავი გრძნობაც გვამაღლებდა ყველას.

დ.ჩ. ჩემი მიზანიც ეგ იყო, მათ შთამომავლებს ეგრძნოთ სიამაყე და თავდაჯერებულობა. ამ ქალბატონებმა ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანეს საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. არცერთ მათგანს არ დავიწყებია „ბაშანა ჰაბაა ბირუშალაიმ“. ისინიც ოცნებობდნენ წმინდა მიწაზე დაედგათ ფეხი, მაგრამ მათ ბედმა არ არგუნა. რარიგ გაიხარებდნენ დღეს თავისი შთამომავლების წარმატებებით, რომლებიც ისრაელის ინდუსტრიის ყველა სფეროში მოწინავენი არიან. ეს არის ჯარის საბრძოლო ქვეგანაყოფები, უმაღლესი ტექნოლოგია, მედიცინა თუ მეცნიერება. ესეც ჯანსაღი ფესვების წყალობითაა.

ლ. კ. კიდევ ერთი ზუსტი მიგნება იყო ის, რომ როგორც დამაგვირგვინებელი აკორდი, ისე ჟღერდა ბატონ შალომ დავიდის მიერ გალობით შესრულებული „კადიში.“ დავამატებ იმასაც, რომ იმ ქალბატონებისთვის უფრო უპრიანი იყო სანთელიცა და კადიშიც, ვინც დაუოჯახებელი წავიდა ამ ქვეყნიდან და მომგონებლებიც არ ჰყავთ. არ შევცდები, თუ ვიტყვი,რომ ამ საღამოს მნიშვნელობაცა და შინაარსიც გაამართლა თქვენმა ჯაფამ და დიდებულმა იდეამ. უღრმესი მადლობა ყველაფრისთვის.

დ. ჩ. მადლობა თქვენ.

ლია კრიხელი
პედაგოგი,
საზოგადო მოღვაწე,
ღირსების ორდენის კავალერი

„მოსადი“-ს ფანასტიური ოპერაცია

„მოსადი“-ს აგენტები თეირანში. როგორ მოიტაცეს ირანის საიდუმლო ბირთვული არქივი

აპრილის ბოლო დღეებში ისრაელის პრემიერ მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ გააკეთა ფანტასტიკური განცხადება და მსოფლიოს გააცნო ირანის ბირთვული ამბიციის ამბები — აუწყა, რომ ირანს 2015 წლის ექვსი ქვეყნის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების შემდეგაც არ შეუწყვეტია ბირთვული იარაღის შექმნა.

თავის გამოსვლაში ბინიამინ ნეთანიაჰუმ დოქტორი მოხსენ ფახდიზადე მოიხსენია, როგორც საიდუმლო პროექტის „ამადის“ ხელმძღვანელი, რომელიც ფაქტიურად ირანის ატომური ბაომბის მამად მიიჩნევა.

— დაიმახსოვრეთ ეს სახელი — ფაჰრიზადე! — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ვინ არის მოხსენ ფაჰრიზადე?

ირანის რეჟიმი მას ეროვნულ სიამაყედ მიიჩნევს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ პერსონალური სანქცია დაადო, ისრაელის დაზვერვა კი თვალს არ აშორებს.

უაღრესად გასაიდუმლოებული

მიუხედავად იმისა, რომ 57 წლის დოქტორი მოხსენ ფაჰრიზადე ლექტორად და ბირთვული ფიზიკის დარგში სწავლულად ითვლება, ყოველ დილით სახლიდან სპეციალური ესკორტით მიჰყავთ თეირანის იმამის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის შენობასთან, ხოლო სამუშაო საათების ამოწურვის შემდეგ, ასევე სპეციალური ესკორტით აბრუნებენ შინ, იგი უბრალო მასწავლებელი არ არის, უფრო სწორად, სულაც არ არის მასწავლებელი.

ფაჰრიზადეს კაბინეტი უნივერსიტეტის კორპუსის განსაკუთრებულად დაცულ მონაკვეთშია განთავსებული. ამ მონაკვეთში უამრავი სათვალთვალო კამერა დგას და უცხოთათვის შესვლა აკრძალულია. თავისუფალი გადაადგილება არც თავად ფაჰრიზადეს ძალუძს — იგი ირანის სამხედრო ბირთვული პროგრამის ტვინად,ატომური ბომბის შემქმნელად მიიჩნევა და ამ ქვეყნის ეროვნული სიამაყეა.

ბინიამინ ნეთანიაჰუმ თავის გამოსვლაში ფაჰრიზადე რომ ახსენა, დამსწრეთა უმეტესობას ეს სახელი არაფერს არ ეუბნებოდა, თუმცაღა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგი რამდენიმეჯერ გახლდათ მოხსენიებული და სწორედ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. არც მისი სურათი ენახა ვინმეს. ბინიამინ ნეთანიაჰუმ ირანის ატომური ბომბის გასაიდუმლებული მამის ფოტოსურათიც კი წარმოადგინა

იმისაგან განსხვავებით, რაც ადრე იყო ცნობილი, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ისიც კი გაასაჯაროა, მოსადის მიერ მიწოდებული ოპერატიული მასალების საფუძველზე, რომ ფაჰრიზადეს ატომურ ბომბზე მუშაობა სულაც არ შეუწყვეტია, თუმცაღა თეირანში ამტკიცებენ 2015 წლის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ატომურ ბომბს აღარ ვამზადებთო — ფაჰრიზადე კვლავაც ხელმძღვანელობს სამხედრო გასაიდუმლოებულ ბირთვულ პროგრამას.და სწორედ ფაჰრიზადეა სამეცნიერო და ადმინისტრაციული დირექტორი ამ სრულიად გასაიდუმლოებული პროგრამისა.

სახლი მაჰლალატის ქუჩაზე

დოქტორ ფაჰრიზადეზე მოპოვებული დოსიედან ირკვევა, რომ იგი, მართლაც, დიდებული მკვლევარი, ბირთვული ფიზიკისა და ქიმიის დარგის დიდი მცოდნეა,ამავე დროს სრულიად ლოიალურია დღევანდელი ირანის რეჟიმისა და ისლამური რევოლუციის, ჩინებული ორგანიზატორი და მენეჯერია.

ირანში და არა მხოლოდ ირანში, მას არცთუ იშვიათად ადარებენ აბდულ კადირ ხანს — პაკისტანის ბირთვული პროგრამის ხელმძღვანელს. ეს ის კაცია, ვისი დახმარებითაც ირანმა მიიღო ურანის გამაძლიერებელი პირველი ცენტრიფუგები. ფაჰრიზადე ისლამური რევოლუციის გუშაგთა რიგებში 31 წლის წინათ შევიდა, ესეიგი ამ გასამხედროებული სტრუქტურის შექმნისთანავე.

ამასთან, როგორც ისრაელში ამბობენ, ფაჰრიზადეს ორგვარი შლიაპა ახურავს.ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორმაგ ცხოვრებას ეწევა. ერთი მათგანი არის ის, რაც ყველასათვის ცნობილია, მეორე კი გასაიდუმლოებული. კონკრეტულად: ცნობილია ის, რომ ფაჰრიზადე მკვლევარია,რომ ადრე მაღალ პოსტებს იჭერდა ბირთვული ენერგიის ეროვნულ სამმართველოში, ნაკლებად ცნობილია ის, რომ დროის უმეტეს ნაწილს საერთაშორისო ზედამხედველთაგან დაფარულ, მალულ სამხედრო ობიექტებზე ატარებს. საერთაშორისო სანქციები და მატს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსი, მას შემდეგ დაუწესდა, რაც გაირკვა, თუ რა საქმიანობას ეწევა ისპაჰანის პროვინციაში, ნათანზეს ბირთვულ ცენტრში. 2010 წლისთვის აქ ურანის გამამდიდრებელი ოთხი ათასი ცენტრიფუგა მუშაობდა.თეირანში ამტკიცებდნენ, რომ ეს ობიექტი სამშვიდობო ატომისათვისაა განკუთვნილი, მოგვიანებით გაცხადდა, რომ განცალკევებულ, განსაკუთრებულად დაცულ, ფარულ ბლოკში სამხედრო დანიშნულების გამდიდრებული (95%) ურანისმიღებაზე მუშაობდნენ.

მას შემდეგ, რაც ნატანზისა და ბუშერის ობიექტები საერთაშორისო სტრუქტურების ყურადღების ქვეშ მოხვდა, აქ არსებულ ცენტრიფუგებს სხვა ადგილი გამოუნახეს, სწორედ იქ გადაიტანეს, როგორც მოსადმა დაადგინა, სადაც მიდინარეობდა პროექტ ,,ამად“-ის განხორციელება და მიმდინარეობდა, სწორედ მოხსენ ფაჰრიზადეს ხელმძღვანელობით — დაზვერვამ შესძლო ,,ირანის ატომური ბომბის მამაზე ცნობების შეგროვება: ისიც დაადგინა, თუ როგორ, რომელი შესასვლელიდან არის შესაძლებელი მის კაბინეტთან აღმოჩნდე. დაზვერვას ხელთა აქვს მისი კაბინეტისაკენ მიმავალ დერეფნებში ვიდეოკამერების განლაგების სქემა, ბინის მისამართი (თეირანი, შაჰიდ მაჰლალატის ქუჩა, ტელეფონის ნომერიც კი: 021-2446413).

ისიც გაირკვა რომ ბატონი ფაჰრიზადე სულაც არ არის უქონელი კაცი: მისი ფინანსური აქტივები განლაგებულია ევროპისა და აზიის ბანკებში, მათს შორის წარმომდგენის (პასპორტების ნომრები: 0009228 და 4229533) სახელზეც კი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ირანული ატომის მამას საერთაშორისო აკრძალვა დაედო, მისი აქტივები გაყინულია.

„შეიარაღების ჯგუფის“ მეთაური

საერთაშორისო სანქციებმა სულაც არ მოხსნა კითხვა, თუ ვინ არის მოხსენ ფაჰრიზადე და როგორია მისი როლი ირანის სამხედრო პროგრამაში — ირანული ატომის შექმნის საქმეში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ამ საკითხთან დაკავშირებით ერთობ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. მაგალითად, გერმანული ,,შპიგელი“ მიიჩნევს, რომ ფაჰრიზადე მეთაურობს საიდუმლო პროგრამას, რომლის კოდური სახელწოდებაც **FEDAT** გახლავთ. ვარაუდობენ, რომ ეს დაახლოებით მოდერნიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვაზეა ორიენტირებული.

ახალი სადაზვერვო მონაცემები კი ადასტურებენ ამ პროექტში თორმეტი სტრუქტურა მონაწილეობს და ყოველი ამათგანი ატომური ბომბის სხვადასხვა კომპონენტს ამუშავებდა — საწვავით დაწყებული ბომბის მატარებლით დამთავრებული.

ამ სტრუქტურებს შორის გახლდათ ე.წ. ,,პროექტი -111“, რომელიც დამამთავრებელ ეტაპზე — მატარებლებისა და ბირთვულ ქობინებზე აგებდა პასუხს.

რასაკვირველია, ფაჰრიზადე მარტო არ მოქმედებდა.. მის თანამებრძოლთა შორის გახლდნენ პროფესორი, ოფიცერი, რომელიც ასევე მოხვდა სანქცირებულთა შორის(გაეროს უშიშროების საბჭოს 1747 რეზოლუცია) ფერეიდუნ დავანი აბასი. ამათი კოლეგა გახლდათ მასუდ ალი მოჰამმადი, რომელიც როგორც ადრე გამოცხადდა, მოსადის მიერ 2010 წელს იქნა ლიკვიდირებული. ეს სამი ძლიერ გასაიდუმლებული ადამიანი გახლდათ იმ ,,შეიარაღების ჯგუფის“წევრი,რომელიც ატომურ ბომგს ქმნიდა.

,,მაგატეს“ ინსპექტორებისათვის ეს ადგილები მიუწვდომელი გახდა — არ აჩვენეს.

მეცნიერი, ფილოსოფოსი, ბლოგერი

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ბევრი ირანელისათვის მოხსენ ფაჰრიზადე ცნობილია, როგორც პოპულარული ბლოგერი. იგი ხშირად განსჯის მეცნიერების, რელიგიის, ფილოსოფიის საკითხებს. მკითხველთა შეკითხვებს სიამოვნებით პასუხობს. ერთის მხრივ ისლამის ერთგულების დემონსტრირებას ეწევა, მეორის მხრივ თანამედროვე ყოფის რეალიებსაც — მეცნიერებას, პროგრესს ღებულობს. ფართო აუდიტორიის ინტერესს სიბნელისა და პროგრესის სწორედ ასეთი თავსებადობა განაპირობებს.

ამასწინათ ფაჰრიზადემ განაცხადა, რომ წერს წიგნს. ეს იქნებაო წიგნი ფილოსოფიაზე, რელიგიაზე, მეცნიერებაზე.

ბინიამინ ნეთანიაჰუს გამოსვლიდან:

ვს საიდუმლო ბირთვული პროგრამა კოდური სახელწოდებით პროექტი ,,ამად.“ დღეს ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ,,ამადი“ არის კომპლექსური პროგრამა ბირთვული შეიარაღების შემუშავების, შექმნისა და გამოცდისა. ასევე შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ირანი საიდუმლოდ ინახავს პროექტის მასალებს იმისათვის, რომ გამოიყენოს მაშინ, როცა თეირანის რეჟიმი ატომური ბომბის შექმნას დაისაჭიროებს.

პროექტ ,,ამადის“ კონკრეტული და დაუფარავი გეგმა ასეთია: ბირთვული იარაღის შექმნა, დააპროექტოს, მოამზადოს და გამოსცადოს ხუთო ბირთვული ქობინა, ყოველ მათგანი უნდა იყოს 10 კილოტონის ტროტილის ექვივალენტი. იმისათვის, რომ გაიგოთ, თუ რა არის ათი კილოტონა ტროტილი სრულიადაც არ არის აუცილებელი იცოდეთ სპარსული ენა. ეს არის ბალისტიკური რაკეტებისათვის მომზადებული ხიროსიმას ხუთი ბომბის ბადალი. აი, ასეთი მიზანი აქვს ,,ამადს.“

— მოსადის მიერ მოტაცებულ არქივში არის ერთი ასეთი დოკუმენტი: ირანის თავდაცვის მინისტრის ალი ხამშანის ახალი დირექტივის მიხედვით, პროექტზე მუშაობა ორ ნაწილად უნდა დაიყოს: ფარული და ღია, ყველასათვის გასაგები, ხელმისაწვდომი ნაწილი.მოხსენ ფაჰრიზადე, აცხადებს: ,,გამოვაცხადოთ პროექტ ,,ამადის“ დახურვა“ და მერე დასძენს: დაგვჭირდება ,,სპეციალური ღონისძიება“ თქვენ უნდა იცოდეთ, თუ რა არის ეს ,,სპეციალური ღონისძიება“. ,,სპეციალური ღონისძიება“ ჩატარდება ,,ტექნოლოგიური მეთოდების მეცნიერული დამუშავების“ სახელით.

დოკუმენტები თებერვალში იქნა მიღებული

ამერიკული ტელეარხის **Fox News**-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ბ.ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელის დაზვერვამ ეს დოკუმენტები თებერვალში მიიღო.

— ეს არის 100 ათასი დოკუმენტი სპარსულ ენაზე, ჩვენ ეს დოკუმენტები პროფესიონალ მთარგმნელებს გადავეცით. ამ მონაცემთა დამუშავებამ დიდი დრო მოითხოვა. მარტის დასაწყისში აშშ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს შევხვდი, მასალები გავაცანი და დავპირდი, რომ ყველა ინფორმაციას მივაწოდებდით. ამის შემდეგ ამ მასალებს ერთდროულად სწავლობდნენ ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონმა აღიარა, რომ ,,ირანული დოსიე“ ირანის ბირთვულ პროგრამის ახალ მონაცემებს შეიცავს.

ნეთანიაჰუმ შეკითხვაზე მიაჩნია, თუ არა, რომ ამ მასალების გაცხადებით რაიმე ზეგავლენას მოახდენს ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე, გამოვიდეს ირანთან ექვსი სახელმწიფოს ხელშეკრულებიდან, მიუგო.

— ამ საკითხს ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტს თავად პრეზიდენტი ტრამპი და არა სხვა. ტრამპი ის ლიდერია, რომელსაც ძალუძს გადაწყვეტილების მიღება და მიიღებს კიდეც.

იმავე დღეს ისრაელის ხელისუფლების მაღალი რანგის ანონიმურმა წარმომადგენელმა განაცხადა:

— ირანთან ჭიდილში კარგა ხანია ვართ ჩაბმული. ეს ორთაბრძოლა მხოლოდ ატომური ბომბის საკითხებს არ შეეხება. და ორივე მხარის დიდი გამოცდაა. ანონიმურ წყაროს მიაჩნია, რომ ეს ჭიდილი კიდევ კარგა ხანს

ნიუ-იორკი, ქვინსი, სიმონ კრიხელს



გაზეთ „მენორას“ რედაქცია, მისი მკითხველი, გულითადად მიესალმება იმ კულტურულ კერათა საიუბილეო თარიღებს, რომლებსაც თქვენ უდგეხართ სათავეში — „თარბუთის“ 20 და გაზეთ „დავითის ფარის“ დაარსების 15 წლისთავს.

„თარბუთიცა“ და „დავითის ფარიც“ ის კულტურული კერებია, რომელებმაც გააერთიანა და თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ებრაელობის დიდი ნაწილი. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა „თარბუთის“ მიერ ორგანიზებულ საღამოზე, დაინახავდა, თუ რაოდენ სასიკეთო როლს თამაშობს ეს ორგანიზაცია ჩვენი დების, ძმების, შვილების — ნათესავების სულიერ ცხოვრებაში. აქ ადამიანები გამოთქვამენ თავთავიანთ მოსაზრებას ამათუიმ საკითხთან, მოვლენასთან დაკავშირებით, აღნიშნავენ ღირსეულ, ღვაწლმოსილ პიროვნებათა მრგვალ — საიუბილეო თარიღებს. შეფასებას აძლევენ მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს, რომელთა განმაპირობებელნი ქართველი ებრაელები არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნიუ-იორკის ქართველ ებრაელობას აქვს თავისი არამხოლოდ ცენტრი, სათქმელიც.

ხოლო რაც შეეხება გაზეთ „დავითის ფარს“, რომელიც პირადად თქვენი — ნატაშა და სიმონ კრიხელების უშუალო პირმშოა, კულტურის კიდევ ერთი კერაა. მისი მეოხებით ვეცნობით ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის ყოფას — ვხედავთ, თუ როგორია მისი ცხოვრება. ვიცით, დღეს ქართველი ებრაელობის ერთი ნაწილი,უმეტესწილად, მოღონიერებული ახალი თაობა, ტოვებს ქვინსს და ნიუ-იორკის, ამ თანამედროვე ბაბილონის, უფრო კომფორტულ რაიონში მკვიდრდება. ასე გვგონია, რაც უფრო გაიზრდება ეს ტენდენცია და გვჯერა რომ გაიზრდება, ადამიანები მით უფრო დაისაჭიროებენ „დავითის ფარს“, „თარბუთს“ ე.ი. მით უფრო მნიშვნელოვანი გახდება ამ ინსტიტუციების როლი და ადგილი ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში.

გვინდა გამოვხატოთ პატივისცემა ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სულიერ-რელიგიური ლიდერის — რაბი აბრამ აშვილისა და სალოცავის პრეზიდენტის სოსო პატარკაციშვილისადმი, რომლებიც ხსენებულ კულტურულ კერებს მხარში უდგანან, „თარბუთის“ მიერ ჩატარებული ღონისძიებების აქტიური მონაწილენი გახლავან. რომ არა ამათი (და ქვინსის სალოცავის ადრინდელი გაბაიების — პრეზიდენტების) თანადგომა, დღეს ალბათ, სხვა სურათის შემყურენი ვიქნებოდით, მაგრამ მათი დიდსულოვნება და ამბიციებს მოკლებული ქმედებანი კულტურის ამ კერებს თავისუფალი სუნთქვის საშუალებას აძლევს.

სურვილები?

„თარბუთი“ აღარასოდეს გამოეყენებინოთ პირადი ანგარიშსწორებისათვის, მუდამ ყოფილიყოს ქომაგი და მეგობარი ყოველი ადამიანისა.

„დავითის ფარის“ მიმართ კვლავაც ის სურვილი გვაქვს, რომელიც მისი ათი წლისთავზე გვქონდა: გაზეთში გაძლიერდეს ქართულენოვანი მასალების ხვედრითი წონა.

და კიდევ — იქნებ, მთავარი: სიმონ კრიხელმა დიდი მისია იდო თავს და როგორც პატიოსანი ინტელიგენტი, ღირსეულად ასრულებს ამ მისიას.

ღმერთმა მისცეს ძალა და ჯანმრთელობა კვლავაც დიდხანს გაძღოლოდეს ამ საქმეს!

გაზეთ „მენორას“ რედაქცია

ძველი ახალი გაბაი

მერაბ ჩანჩალაშვილი უკვე რამდენიმე წელიწადია გახლავთ თბილისის ქართველ ებრაელთა დიდი (ე.წ. ახალციხელების) სალოცავის გაბაი--ადმინისტრაციული ხელმძღვანელი . მას კადენცია აპრილის მეორე ნახევარში ეწურებოდა. ამიტომაც არ დაახანეს და გადაწყდა, 29 აპრილს გამართულიყო ახალი გაბაის არჩევნები.

ნიშანდობლივია, რომ სალოცავის ადმინისტრაციულ საქმეთა გაძღოლის სურვილი მხოლოდ ერთმა პიროვნებამ გამოთქვა--მერაბ ჩანჩალაშვილმა. ეს არცთუ ძლიერ სასიამოვნო ფაქტი, ორგვარად შეიძლება იქნას ახსნილი:

1. მ. ჩანჩალაშვილმა ისე კარგად იმუშავა, რომ იგი უკონკურენტდ იქნა მიჩნეული.

2. მ. ჩანჩალაშვილთან და მის გარემოცვასთან მეტოქეობას აზრი არა აქვს.

ამიტომ სალოცავის გამგეობამ ჯამაათის წევრებს საარჩევნო ბიულეტენი ასეთი ფორმულირებით დაურიგა: ,,ხართ თუ არა თანახმა, მერაბ ჩანჩალაშვილმა განაგრძოს გაბაის თანამდებობაზე მუშაობა მორიგი სამი წლის ვადით?“

29 აპრილს ბეით ქნესეთში გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ჯამაათის ასმა წევრმა. ბიულეტენში დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 99 ამომრჩეველმა.

ამრიგად, მერაბ ჩანჩალაშვილი შეიძლება ითქვას, ერთხმად იქნა არჩეული გაბაიდ.

ვულოცავთ მ. ჩანჩალაშვილს გაბაიდ ახალი კადენციით არჩევას და ვუსურვებთ წარმატებას მთელი ჯამაათის სამსახურის საპატიო საქმეში.

გაგრძელდება და ამ დოკუმენტების სამზეოზე გამოტანა ირან-ისრაელის წინააღმდეგობებს არსებულზე მეტად არ გაამწვავებს.

* * *

ისრაელის დაზვერვის მიერ ირანის დედაქალაქში ჩატარებული ოპერაცია უკვე უპრეცენდენტოდაა მიჩნეული:

თელ-ავივიდან 1600 კილომეტრს დაშორებით ისრაელის საგარეო დაზვერვამ („მოსადი“) შესძლო გამოეტაცნა ირანის საიდუმლო ბირთვული პროექტის ,,ამად-ის“ მთლიანი არქივი და ისრაელში ჩამოეტანა. ჩატარებულ ოპერაციის მასშტაბი კარგად რომ იყოს გასაგები, განვმარტავთ: ეს არ იყო პაწია მიკროფილმები, ან ე.წ. ,,ფლეშკები“. ეს არის 100.000 საქაღალდე, ნახაზები, კომპაქტური ფირფიტები საერთო წონით 500 კილოგრამი.

,,ალ ჯარიდა“: „მოსადმა“ ირანის ბირთვული არქივი აზერბაიჯანის გზით გაიტანა

კუვეიტური გაზეთი ,,ალ ჯარიდა “ ამტკიცებს, რომ მისთვის ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია იმაზე,ირანიდან თუ როგორ გაიტანა ,,მოსადმა“ ბირთვული არქივი. ეს არქივი იანვარში იქნაო გატაცებული — არქივის მასალებით სავსე ყუთები პატარა სატვირთო მანქანაზე დატვირთეს — სამალავ საწყობთან სატვირთო მანქანა ორი იყოო, ორი და ერთნაირი. არქივი ერთ-ერთში ჩაიტვირთა. შემდეგ ეს ავტომანქანები სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენო.

,,ალ ჯარიდას“ ინფორმაციით, ოპერაციის მონაწილენი სამალავ საწყობს ფეხით გაეცალნენ. იმ სატვირთო მანქანაში, რომლითაც ირანის ბირთვული არქივი მიჰქონდათ, ,,მოსადის“ ორი აგენტი იჯდა. არქივი აზერბაიჯანის საზღვართან — სამალავში იქნა მიტანილი. იქ არქივი „მოსადის“ ორ სხვა აგენტს გადააბარეს. მათ არც იცოდნენ, თუ რასთან ჰქონდათ საქმე. არქივი აზერბაიჯანში სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით იქნა შეტანილი, იქიდან კი თვითმფრინავით — ისრაელში.

ირანის უშიშროების სამსახურს არც შეუტყვია ბირთვული არქივის გაქრობა, რადგან ,,მოსადის“ აგენტებმა დაცვის ყველა სისტემა გათიშეს და არა-რა კვალი არ დატოვეს.

საინფორმაციო სააგენტო, რომელმაც ეს ცნობა გაავრცელა, ხშირად წერს ისრაელის არმიასა და სპეცსამსახურებზე, მაგრამ ზოგჯერ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ოფიციალურად არ დასტურდება. არაბულმა და ირანულმა მხარემ ,,ალ ჯარიდა“ არაერთხელ დაადანაშაულა ისრაელთან თანამშრომლობაში.

განადგურებული 200 რაკეტა

30 აპრილის ღამეს სირიაში ირანის სამხედრო ბაზაზე თავდასხმისას აფეთქებული იქნა მიწისქვეშა ბუნკერები. ამ თავდასხმისას განადგურდა ისრაელზე დამიზნებული 200 რაკეტა, რომელსაც შეეძლო ებრაელთა სახელმწიფოს ნებისმიერ წერტილში მოხვედრილიყო. ,,ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტს ბენ ჰაბარდს ეს ინფორმაცია მაღალჩინოსანმა წყარომ მიაწოდა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

იმავე წყაროს ცნობით, თავდასხმისას დაიღუპა 16 სამხედრო პირი, აქედან — 11 ირანელია.

პროირანული კოალიცია ირანის საპასუხო რეაქციას ელოდება, მაგრამ რეაქცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შედეგს მიაღწევს ,,ჰეზბოლა“ ლიბანის საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 6 მაისს ჩატარდება (ლიბანში არჩევნები უკვე ჩატარდა. ,,ჰეზბოლამ“ პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა.რედ.) თუ ირანი საპასუხო აქციას არ დააყოვნებს და დღესვე იძიებს შურს, ეს ლიბანში არჩევნებისას ,,ჰეზბოლაზე“ უარყოფითად იმოქმედებს.

ირანი ისრაელს ადანაშაულებს.

მიმომხილველები გამოსთქვამენ ვარაუდს: თუ ირანი ისრაელს დაარტყამს, ეს ომს ნიშნავს და ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალები ირანელებს ისეთ ზარალს მიაყენებს, ირანი უახლოეს ათწლეულში გონს ვერ მოვაო.

NBC-ის მონაცემებით, ამ ბოლო ხანს ირანმა სირიაში — ისრაელის სიახლოვეს დიდძალი შეიარაღება გადაზიდა, მათს შორის რაკეტა ,,მიწა-ჰაერი“.აშშ-ს ორი ოფიციალური პირის აზრით, იარაღის ასეთი გადაადგილება გამიზნულია სირიაში ირანის შეიარაღების გაძლიერებისათვის — ყველაფერი ეს ისრაელს უკავშირდებაო.

მოგვიანებით დააზუსტეს: თავდასხმისას დაიღუპა 25 სამხედრო, უმეტესწილად — ირანელები.

აშშ პრეზიდენტის განცხადება

8 მაისს, როგორც ადრე გახლდათ გამოცხადებული, აშშ პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელსაც მთელი სამყარო ელოდა. პრეზიდენტმა ტრამპმა, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთხელ გააკრიტიკა მისი წინამორბედი პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილება ირანის ატომურ შეიარაღებასთან დაკავშირებით: აშშ-მ 2015 წელს ირანის მიერ ატომური ბომბის შექმნიაზე უარის, თქმის სანაცვლოდ ისლამურ სახელმწიფოს სანქციები მოუხსნა (თუმცა როგორც ბინიამინ ნეთანიაჰუს განცხადებამ დაადასტურა, ირანი ფარულად მაინც ეწეოდა ურანის გამდიდრებას). 2015 წელს ირანთან შეთანხმებას ხელი მოაწერა აშშ,დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა, საფრანგეთმა და ევროსაბჭომ.

8 მაისს კი დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ს არ მოსწონს ხელშეკრულება და იგი უარს ამბობს მასში მონაწილეობაზე. ეს კი იმას ნიშნავს რომ აშშ განაახლებს ირანის წინააღმდეგ სანქციას.

კიდევ ერთი შეტევა

8 მაისის საღამოს სირიაში, დამასკოსთან ახლოს ალ კასვას რაიონში განლაგებულ სამხედრო ბაზაზე საჰაერო თავდასხმა განხორციელდა. საერთაშორისო სააგენტოები იუწყებიან, რომ საჰაერო თავდასხმისას დაიღუპა 8 ირანელი სამხედრო. არაბული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან რომ ირანულ სამხედრო ბაზას ისრაელის ავიაციამ შეუტია. მათი მიზანი გახლდათ ისრაელზე დამიზნებული რაკეტების განადგურება. ამოცანა წარმატებით შესრულდა.

სახეები და სიტუაციები

გურამ გათიაშვილი

(ახალი თავები წიგნიდან)

ჯანსუღ ჩარკვიანი

ლენინმა უთხრა სტალინსო,
რატომ სჭამ ამდენ მწვანილსო,
სტალინმა უთხრა ლენინსო,
შენ უარესი გელისო.

მღეროდნენ ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და ტარიელ ჭანტურია. ამ და სხვა ქართველ მწერალთა პიროვნული რაობა რომ შეგეცნოთ, სუფრაზე მათი ლხინისთვისაც უნდა მიგედევნებინათ თვალი და დარწმუნდებოდით, თუ როგორი სულისკვეთებისანი გახლდნენ: თავის გადარჩენისათვის მათს მიერ ნათქვამი ზოგადი ფრაზები, თუ ვალისმოსახდელად დაწერილი სტრიქონები, ჭეშმარიტების, ეროვნული ინტერესების დამკვიდრებისა და უფრო სერიოზულის თქმისათვის გაღებული ხარკი რომ იყო.

ჯანსუღ ჩარკვიანიც ამათი მოდგმისა და ჯიშისა იყო: ქართული სულისკვეთების, ჭირში გამომდგომი და ლხინში — დამამშვენებელი. ტრიბუნაზე მდგარსა, თუ სუფრასთან ამღერებულს, გუშინ, თუ საუკუნის წინათ მომხდარზე მოსაუბრესა, თუ ოპონენტებთან მოპაექრეს, რომ შევცქეროდი, არაერთხელ მიფიქრია, ალბათ, ასეთნი იყვნენ ის ქართველნი. ამ ქვეყნის სახედ და დამამშვენებლად რომ შეურაცხავთ-მეთქი. იმდენად ძლიერი იყო, ათას სიბინძურეს გაუძლო — ტალახის სროლა არ დაიზარეს. მრავალგზის ესროლეს, სწორედ იმათ, ვისაც ყოველდღიურობაში მისი ეროვნული სულისკვეთება უნდა გამოერჩია, მაგრამ რა, გამოხდა ხანი და ტალახის მსროლელთ ის ტალახი სულზე, სხეულზე მიეკროთ, გატალახიანებულნი შემორჩნენ დრო-ჟამს — სულიც გაიტალახიანეს და სხეულიდანაც ვეღარ ჩამოიფერთხავენ სიბინძურეს, ჯანსუღი კი წავიდა, როგორც ხალხის გულისთქმის გამომხატველი პოეტი.

ჯანსუღ ჩარკვიანი ჯასუღ ჩარკვიანისავე წინააღმდეგაც გამოიყენეს: როცა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ძალაუფლების ხელში აღებისას, მაშინ, როცა მის მეგობარ სიუზერენზე მიჰქონდათ იერიში, ჯანსუღისავე ლექსით (,,თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!“) იმხნევებდნენ თავს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პოეტის შემოქმედების რაობას — მის სტრიქონებში მოწინააღმდეგე, მტერიც კი ჰპოვებს საზრდოს, იგი ყველასია, ყველას სჭირდება. იმ დღეს იმ სიმღერით პოეტის პოლიტიკურ- იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი ჩარკვიანის სულისკვეთების გამომხატველად წარმოაჩენდნენ თავს. ჯანსუღი კი, სათქმელს გულში არ ჩაიდებდა, ქვეშ-ქვეშა, ზურგსუკან, შეთქმულის ჩურჩულით მთქმელი კი არ იყო, პირში მიმხლელი და შემძახებელი. არ დაახანებდა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად იტყოდა — ისე მადლიანად, ისეთი გზნებით, თითქოს შენს სათქმელს ამბობდა. ამან ცხადია, ბევრი გულმხურვალე მოყვარე გაუჩინა, მაგრამ არც აუგად მომხსენიებელი დაჰკლებია. ჯანსუღმა კი თავის აუგადმახსენებელთ პანაშვიდი იმ დღეს გადაუხადა, როცა სამარადისო გზას ადგებოდა — იქ და მაშინ, როცა პოეტი სამუდამო სამყოფელისაკენ მიეშურებოდა — მთაწმინდაზე. თუმცა, ამ საქმეში ინიციატივა ჯანსუღს არ ეკუთვნოდა — იმათ თავი საკუთარი ნებით და ხელებით მოიჭრეს და იმ კუბოსთან მიაგორეს, რომელშიც პოეტი იწვა.

იმათ რაღა ეშველებათ (მათი სათაყვანებელი ბელადი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ვეჭვობ მის მიმდევართა ასეთი საქციელი მოწონებოდა — ოდიშური აღზრდა მოსდევდა), სხვათა, მოქილიკეთა და აუგად მახსენებელთა გასაგონად მინდა გავიხსენო: სადაც კი მივდივარ, ლხინის სუფრა იქნება, თუ ჭირისა, ჯანსუღიც იქ არის, სუფრის თავშია მოქცეული. ადამიანები მის სტრიქონებს იშველიებენ, რომ თავიანთი გულისნადები უკეთ გამოთქვან. არაერთხელ მსმენია ჭარმაგი კაცისა, თუ ჭაბუკის მიერ წარმოთქმული:

მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი,
მოვალისათვის მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისათვის მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი შემაწამვლინე ზვრები...

მიცვალებულს კი არ გადაუდგნენ წინ, იცხოვრონ ამ სულისკვეთებით, ასეთი რწმენა ჩაუნერგონ ადამიანებს — ნაცნობსა, თუ უცნობს, ჭაბუკსა და ზრდასრულს, თქვან ჯანსუღისდარი სტრიქონები და ,,მერე წამოვალ, წამოვალ, საცა გინდა“

ლაშა ჟვანია

ელჩიც იყო, პარლამენტის წევრიც, მერე საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეც, მინისტრიც და...მაგრამ შემგუებელი, ლაქუცა არ ყოფილა და არ არის, არც თავის წამდაუწუმ დამკვრელი — თავისუფალი პიროვნებაა — ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლით ბედნიერი და მხოლოდ ღვთის განაწესს უკრავს თავს, მუხლსაც. ამიტომ იყო: როცა ამ ქვეყნის უზენაეს პირს, გამგებელს გუშინ მისსავე მიერ დანიშნული მინისტრისა რაღაც არ მოეწონა, თუ ამან — ლაშამ მიიჩნია ამ ქვეყნის უზენაესის მიერ არჩეული გზა და მეთოდი სახელმწიფოს მართვისა მის სამშობლოს არა-რა სიკეთეს არ უქადდა (კონკრეტულად რა როგორ იყო, არც ვიცი და ეს არც არის მნიშვნელოვანი. მთავარი ის არის, რომ ერთმანეთს ირიბად დაუწყეს ცქერა), ეს ყმაწვილი მინისტრის სავარძელს არ გაეტირა — შინისაკენ გაეშურა და ერთ ჩვეულებრივ ვენურ სკამზე დაჯდა. ყველაფერი ეს ისე უხმაუროდ მოხდა, თითქოს წიგნი ფანჯრის რაფაზე რომ იდო, ვიღაცამ აიღო და ბუხრის თავზე შემოდო. არც ვაი-ვაში აუტეხნია, არც ხელისუფლის ლანძღვა-გინებით უჯერებია გული. ისე უბრალოდ გაეცალა, როგორც წყლის გუბეს უქცევენ გვერდს. არადა, დღეს ასე არ იქცევიან — დღეს ხელისუფალთ ერთ ამბავს აწევენ — კრიჭაში უდგებიან, ათას ტყუილ-მართალს ახვავებენ მასზე, თუ მის ირგვლივ შემოჯარულ ადამიანებზე. ასე რატომ მოხდა — რა გახლდათ მშვიდად გაცლისა და ცხოვრების ჩვეულებრივად გაგრძელების განმაპირობებელი? გაწონასწორებული სულიერი ცხოვრება. ასეა, როცა პიროვნება სულიერ ცხოვრებას ეწევა. ადამიანთა ერთ — (დიდ) ნაწილს მიაჩნია, რომ კაცის ღირსების საზომი ფინანსური ძალა და იმ სკამის სიმაღლეა, რომელზეც ზის. ერთიც ანგარიშგასაწევია და მეორეც, მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს, ფაქტია და მათი უარყოფა შეცდომა იქნებოდა, მაგრამ ასე მგონია, მთავარი რჩებათ მხედველობიდან. მთავარს ვერ შესწვდომიან და სხვა რაღა დარჩენიათ — რაღაცით ხომ უნდა ზომავდნენ ამათუიმ პიროვნების რაობას. ეს მთავარი კი მაინც სულიერებაა: როცა პირჯვარს სასხვათაშორისოდ კი არ იწერ, მოსეს ხუთწიგნეულსა, თუ ლოცვანს იმიტომ კი არ ემთხვევი, რომ გაგიგონია, ასე სჯობსო, ან მუსლიმთა სათაყვანებელ წიგნს იმიტომ კი არ ჩასცქერი, რომ მამაშენიც ასე ირჯებოდა, არამედ ყველაფერი ეს შენი სულიერი მოთხოვნილებაა, ასე გწამს და გჯერა. როცა სიცოცხლე უამისოდ ვერ წარმოგიდგენია, სულს ღვთაებრივი შუქი გისხივოსნებს და სიკეთისაკენ ხარ მიდრეკილი.

ლაშა არც ელჩობას შეუცვლია, არც პარლამენტარობას და არც — მინისტრობას. ისეთივე დარჩა, როგორიც იყო, მაშინ, საუკუნის დამდეგს ისრაელში საქართველოს საელჩოში რიგით მრჩევლად რომ მუშაობდა — მოძრავი, კეთილისმსურველი, ყოველთა — დიდისა თუ პატარას, გამგები და ქომაგი, ადამიანთა სულებში კეთილი საწყისის მაძებარი და ამომზიდავი. არ მავიწყდება, თუ როგორ გაისარჯა, როცა ისრაელში ვიღებდით დოკუმენტურ ფილმს ,,დაგვიანებული კადიში“ — ჩვენი თარჯიმანიც იყო, წამოჭრილ სირთულეთა მომგვარებელიც და მრჩეველიც. ლეგენდარულ გენერალ არიელ შარონს — ისრაელის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრს, მისი პირით ვესაუბრებოდით. ისიც კარგად მახსოვს, შარონის სამოსახლოში ყოფნისას, პრემიერ-მინისტრმა როგორ გაიშინაურა ლაშა. ალბათ, ჩვენი საუბარი ამის გამოც გახდა საგულდაგულო, თითქოს კარგა ხნის ახლობლებმა შევიყარეთ თავი.

...პურობა გვქონდა. ქართული თეატრის, მეცნიერების ღირსეული კაცები — ნამდვილნი და არა დევალვაციის ეპოქაში გადოქტორებულ-გაპროფესორებულნი- უსხდნენ სუფრას — ათიოდე კაცი. პურობაც იყო და საქვეყნო საკითხებზე საგულდაგულო საუბარიც, ისე, როგორც ნამდვილ, სულითა და შემეცნებით ქართველთა თავშეყრას სჩვეოდა და სჩვევია დღესაც. ლაშა ჟვანია მოგვიანებით შემოგვიერთდა. ორი-სამი სადღეგრძელო თქვა, მეინახეთა საუბარშიც ჩაერთო და წავიდა — საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა, ლაშა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატად შეეგულებინათ, სუფრაზე მყოფ მეცნიერთა და ქართული თეატრის ამ ჩინებულ მოღვაწეთაგან კი რამდენიმე ნაციონალურ მოძრაობას დღეც ებრძოდა და ღამეც, ძილშიც და მღვიძარიც, მაგრამ... ესენი ნამდვილი კაცები, იყვნენ და არა ოპოზიციურად დაპროგრამებული რობოტები. ლაშა წავიდა თუ არა, ყველა იმაზე ალაპარაკდა, რაოდენ ღირსეული, დიდებულად მოაზროვნე ახალგაზრდა შედიოდა პარლამენტში სწორედ მათთვის საძულველი პარტიიდან. ოპოზიციური სულისკვეთების გამო ჭეშმარიტებას არცერთმა არ აქცია ზურგი.

ყველაფერი ამის ფინალი თავშივე ითქვა — ლაშა დეპუტატიც გახდა, მინისტრიც და არავის არც ერთ ამათგანს — ისევ თეატრის მოღვაწეებსა და მეცნიერებზე მოგახსენებთ, არ გაჰკვირვებია ახალგაზრდა კაცის ასეთი წინსვლა.

მერე კი... ლაშა, როგორც გითხარით, შინ წავიდა და ვენურ სკამზე დაჯდა. არც ეს გაკვირვებიათ. გიგა ლორთქიფანიძემ, ეს ამბავი რომ ვუთხარი, ჩაილაპარაკა: ,,სხვანაირად არც შეიძლებოდა, კიდევ კარგა ხანს გაუძლო!“

მას შემდეგ ლაშა ჟვანია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გვერდით დგას. ეს კი ადასტურებს მის პიროვნულ რაობას.

ლაშა ებრაელიც არის და ქართველიც. როცა კათოლიკოს-პატრიარქზე-მისადმი დიდ პატივისცემასა და სიყვარულზე საუბრობს, მზერა უბრწყინდება. სათავე? სად არის ამ სიხარულის სათავე? რწმენისაკენ გაუნელებელ სწრაფვაში. ნაკლებად მორწმუნენი, ან სულაც განმდგარნი, იმაზე საუბრობენ, რაც ადამიანებს აშორიშორებთ, ანცალკევებთ, ჭეშმარიტი მორწმუნენი კი იმაზე ლაპარაკობენ, რაც ადამიანებს აერთიანებთ. არადა, ადამიანებს ათასგზის მეტი აერთიანებთ, ვიდრე აშორიშორებთ. ვიღაც გატლეკილი უბირი ებრაელობაზე ისე გაივლ-გამოივლის, თმა ყალყზე დაგიდგება, ბრძენკაცის — უწმინდესისა და უნეტარესის-ილია მეორისაგან კი ებრაელობის ღირსებებზე იმდენი მსმენია, შინ მობრუნებულს კვლავ წინასწარმეტყველთა, თუ იოსებ ფლავიუსის ნაწერები გადამიშლია.

სამყარო რომ ლაშასებრი ადამიანებით იყოს სავსე, იქნებოდა საყოველთაო მშვიდობა და შრომის, სიყვარულის, სიკეთისათვის გარჯის სუფევა, მაგრამ ალბათ, უზენაესის ნებაა, ავიც არსებობდეს, სიკეთისაკენ მიდრეკილი მეტად რომ გამოვარჩიოთ და დავაფასოთ. ეს კი, ის, რის სურვილსაც მე გამოვთქვამ, მესიის მოსვლას უკავშირდება. ებრაელობა კი ათეულობით საუკუნეა მესიას ელოდებიან.

ემზარ კვიტაიშვილი

ემზარზე ფიქრისას მეხსიერებაში უმალ ის ათასი ჭირ-ვარამი წამოტივტივდება, რაც მას გამოუვლია. ცხოვრებამ რამდენი ძირმწარე დაუდო თავთით, რამდენჯერ მოუწყო დიდი განსაცდელი, არადა, ერთობ მდიდარ კაცად მესახება. არა იმ კუთხით, როგორც სიტყვა ,,მდიდარის“ წაკითხვისთანავე მავანი გაივლებს გულში — ფინანსურად მასაც ისეთივე ავდარი უდგას, როგორც მის ბევრ თანამოკალმეს, თუმცა, როდის ყოფილა არსთა გამრიგეს ყველანაირი სიკეთე უბოძებია ადამიანისათვის — ემზარის სიმდიდრე მისი უნიკალური წიგნებია. კარგი ლიტერატურის საუფლოში ცხოვრობს. რაც მას ჩემთვის დიდებული წიგნები უთხოვებია — ძალიან იშვიათი, ძველისძველი გამოცემები, ის რომ გასაყიდად გაიტანოს, ალბათ, სულს მოითქვამს, მაგრამ არა: ემზარი წიგნიერთა თაობის შვილია, იმათი ნაგრამი სიმდიდრედ ადამიანის წიგნიერებას რომ მიიჩნევდა და ეს მეცხრე ათეულში გადამდგარი კაცი კარგ გამოცემებს კვლავ სანთლით დაეძებს, თუ სადმე წააწყდება, კვლავ შინ მიაქვს. ისე მოგახარებს ესა და ეს ძვირფასი წიგნი შევიმატეო, თითქოს კიდევ ერთი ბიჭი შესძენოდეს.

ბევრი რამ იცის, ბევრ რამეს ჩასწვდა და ამიტომ მის ესეებს ყოველთვის ველოდები. ,,რქაწითელას მტევანი“ ჩვენს ლიტერატურულ პრესას ამდიდრებს. ლიტერატურულ ცხოვრებას საინტერესოს ხდის. ზურაბ კიკნაძის, გივი შაჰნაზარისა და თავისი სიჭაბუკის ამბავი ისე ცოცხლად, ხატოვნად აქვს აღწერილი, მომეჩვენა, მეც იქ ვიყავი, თითქმის იმ ამბების მონაწილე გამხადა. თუნდაც რეზო ჭეიშვილის ცხოვრების ფურცლების მისეული შევსება გავიხსენოთ. ჩვენი დიდებული პროზაიკოსის ყოფის, შემოქმედების ისეთი წახნაგები წარმოგვიჩინა, განსაკუთრებით მისი მიმართება თეატრალურ ხელოვნებასთან, რომ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი ცოდნა მასზე. ერთ-ერთ ესსეში ბაყაყთან შეხვედრა-მიჩვევის ამბავი სწორედ მწერლური ოსტატობით აქვს დაწერილი და მიუხედავად იმისა, რომ ბაყაყი არ უნდა იყოს მიჩნეული

ფლორისა და ფაუნის მარგალიტად, ერთობ დასამახსოვრებელ ,,პერსონაჟად“ აქცია. სწორედ აქ ჩანს მწერლის ოსტატობა,

ამიტომ სრულიად ბუნებრივად მეჩვენება მისი სურვილი დაწეროს წიგნი კატებზე. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბროდვეიზე ვებერის დიდებულ მუზიკლს ,,კეტს“ (,,კატები“) რომ ვუყურებდი, ვინატრე, ნეტავ, ემზარიც აქ იყოს, ისიც ასევე უყურებდეს-მეთქი ამ მუზიკლს — იმდენად საინტერესოდ, მრავალფეროვნად იყო წარმოჩენილი კატების ცხოვრება, მჯერა, ემზარს კიდევ უფრო გაუძლიერდებოდა, ამგვარი წიგნის დაწერის სურვილი. ისიც მჯერა, ემზარი მაინც დაწერს ამ წიგნს და გაამდიდრებს ქართველი მკითხველის ცოდნის არეალს. ხოლო რაც შეეხება ანა ახმატოვაზე დაწერილ ლიტერატურულ ნარკვევს, ეს არის ჩინებული ნიმუში პოეტის ღვაწლსა და ტკივილებზე ფიქრისა. პოეტისადმი რაოდენი პატივისცემა იკითხება ამ ნაღველით გაჟღენთილ ტექსტში. და ეს ყველაფერი ანა ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას მემკვიდრეობის ჩინებულ ცოდნასა და ანალიზთან ერთად.

ორ ათეულ წელზე მეტია ჩვენი გამომცემლობები ისეთ ლიტერატურას სცემენ, მათი წაკითხვა ოცნებად რომ გვქონდა გადაქცეული. მადლობა მათ ასეთი გარჯისათვის. კიდევ უფრო დიდი მადლობა იმისათვის, ჩაგვახვედრეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონია რეკლამას, როგორც დღეს ეძახიან წიგნის, მწერლის გაპიარებას, თორემ რამდენი ქართველი მწერლის წიგნი და მათს შორისაა ,,რქანოთელას მტევანიც“...

აქ შევჩერდები, თორემ ვიღაც მეტიჩარა ყალბი პატრიოტობის იარლიყს მომაკერებს. დღეს ესეც გაიოლდა.

ჯემალ სეფიაშვილი

ჯემალის მიერ კარგა ხნის წინათ ნათქვამი ერთი ფრაზა დროდადრო ჩამესმის ყურში: ,,სიმღერა, მუსიკა მმართველ პარტიასაც სჭირდება და ოპოზიციასაც, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ, თუ ისეთი ვიქნებით, როგორნიც უნდა ვიყოთ, დაგვისაჭიროებენ, დაგვიძახებენ, არ დაგვიძახებენ და...“

ერთ დროს აუხირდნენ — ,,ჭიკჭიკებდნენ“ კომკავშირის, პარტიის საამო სიმღერებს ქმნისო. თავის გამოჩენის ეს დაუცხრომელი მოტრფიალენი, მწირი გონებისა და განათლებისა ყოფილან და ვით ჩასწვდებოდნენ, მელოდია, სიმღერა ხალხისათვის იქმნება — იმისათვის, რომ ადამიანებს სიხარული მიანიჭოს. და თუ ასე არ არის — თუ ხალხმა სიმღერაში თავისი სული, ბუნება ვერ ჰპოვა, ისე უბრალოდ აუქცევს გვერდს, თითქოს სმენა სამარადისოდ ჰქონდეს დახშული. ჯემალის სიმღერებს კი მღერიან და ისმენენ. ეს იმიტომ რომ ადამიანებისათვის ქმნის, ადამიანის ტკივილსა და სიხარულზე. ეს ადამიანები-კაცნი, თუ ქალნი კი, ხან კომკავშირლები არიან, ხან ამათუიმ პარტიის წევრები, ხანაც ამათუიმ პარტიის ლიდერობის ამაოდ მსურველნი (მერე კი — მაძაგებელნი), ხან ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქენი, ხანაც .. და მაინც უწინარესად, ადამიანები — უყვართ, სძულთ, უხარიათ, სწყინთ, მღერიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ცრემლიც ადგებათ თვალებზე და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანები არიან. ამიტომ სჭირდებათ სიმღერა. ასე რომ არ იყოს, იმ სიმღერებს ისევე უცებ გადაისვროდნენ ნაგავში, როგორც დილას გამოსულ გაზეთს — ესეც ხომ პარტიასა და კომკავშირზე წერდა. იშვიათია შემთხვევა, ჯემალის სიმღერა, მელოდია ქართველთა გულის გულს არ ჩასწვდეს.

...ჯემალ აჯიაშვილი და მე ჩინებულ ებრაელ მოღვაწე კაცთან — რაფიელ ელიგულაშვილთან ვისხედით. ქვეყანას ძნელბედობის ჟამი ედგა და ქართველ ებრაელთა სახელით მშობლიური ქვეყნის მოსახლეობის გასამხნევებლად გვეწადა შეგვეძახნა. განცხადების ტექსტი შედგენილი მქონდა. წავიკითხე, რამდენიმე სტრიქონი ჩავამატეთ და იმაზე დავიწყეთ ბჭობა, თუ ვის, რომელ ქართველ ებრაელს უნდა რგებოდა ამ განცხადებაზე ხელისმოწერის პატივი. ცხადია, ღირსეულთ ვარჩევდით. ვიცოდი, ჯემალ სეფიაშვილი კოლექტიურ განცხადებაზე ხელისმოწერას თავს არიდებდა, ამიტომ მისი სახელი არც მიხსენებია. ბატონმა რაფიელ ელიგულაშვილმა, ათას ჭირ-ვარამ გამოვლილმა კაცმა (გულაგიც არ დაკლებია), თითქმის კატეგორიულად მოითხოვა, ჯემალ სეფიაშვილს მოაწერინეთ ხელიო. ვუთხარი, ჯემალი ასეთ წერილებზე ხელისმოწერას თავს არიდებს-მეთქი. არაო, უნდა მოაწერინოთ — მაგ კაცმა თავისი ,,ტიტებით“ მთელ საქართველოს გაუთბო გულიო. ეს ის დრო იყო, ჩვენივე წინდაუხედაობით ჩაწიხლული ქვეყანა რომ კვნესოდა. ჯემალ სეფიაშვილის ,,ტიტებმა“ კი იმ წლებში ძალიან დიდი მისია იდო თავს — გამოავლინა ერის სულიერი ძალა, სიბრძნე და როგორც რაფიელ ელიგულაშვილმა ბრძანა ,,მთელ საქართველოს გული გაუთბო“

ჯემალი ქართველიცაა და ებრაელიც. ებრაული ტრადიციით ქართველია, ქართული ტრადიციით — ებრაელი. დედა არაებრაელი ჰყავდა, მამა კი — ებრაელი. ებრაული ადათით უპირატესობა კი იმას ენიჭება, ვინც ადამიანი შობა და ძუძუ აწოვა. თუ ვინმეზე ითქმის, ორი ერის ღვიძლი შვილიაო, სწორედ ჯემალია ასეთი. განა მხოლოდ გენეტიკურად ეკუთვნის ორ ერს, თავისი მრწამსით, ცხოვრების წესით, შემოქმედებით. მისი ერთი სიმღერა ,,შალომ, ისრაელ, შალომ!“, რომლის ტექსტი მორის ფოცხიშვილმა დაწერა, ქართულ-ებრაული ურთიერთობის ჰიმნად მიმაჩნია — ქართველთა სულისკვეთებაც — გულგახსნილობა, მეგობრობის ნიჭი, ჟღერს და ამ მიწის სიყვარულით ამღერებული ქართველი ებრაელისაც. ამიტომ იყო: საქართველოში გამომავალი ებრაული გაზეთის ,,მენორა“(შვიდსანთლიანი შანდალი, სასანთლე) საიტს რამ ვქმნიდით, მუსიკალურ გამყოლად სწორედ ეს სიმღერა ავირჩიე. რა ხანია ,,მენორას“ საიტზე (წ.წ.წ.მენორა.გე) შემსვლელ მკითხველს, ასეთი კი ათასობითაა ევროპაში, თუ აზიაში, აღმოსავლეთსა, თუ დასავლეთში, ჯემალის ხმა და მელოდია ეგებება. სულ დამდევს ფიქრი, რომ მორისმა ეს ლექსი ერთ თავის მეგობარ ებრაელ კაცზე — მიშა კრიხელზე დაწერა. ჩინებული პიროვნება იყო-ისრაელიდან წამოსვლისას მორისთან ყოველთვის მოკითხვას მაბარებდა.

ჯემალი რომ მხვდება, სულ ეგ ,,შალომ, ისრაელ, შალომ!“ ჩამესმის და ერთი კარგი თბილისელი კაცი- ბატონი სიმონ იოსებაშვილი-ჯემალის სიმამრი, მაგონდება. მასზე უფრო კეთილისმსურველი პიროვნება თითქმის არ შემხვედრია. ეს ერთობ ხანდაზმული კაცი, მუდამ მზად იყო, ყმაწვილისთვისაც კი გარჯილიყო. ჩემს სიახლოვეს ცხოვრობდა, სიარული რომ გაუჭირდა, ფეხები გულისწადილს რომ ვეღარ ჰყვებოდა, თავისი სახლის წინ ჩამოჯდებოდა და გამვლელ-გამომვლელს კეთილ მზერას ადევნებდა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ასე იყო, თუ არა, მაგრამ მგონია, ადამიანებს ლოცავდა. სახლიდან გასვლისას არაერთხელ მიფიქრია, ნეტა, ბატონი სიმონი იქ იჯდეს, რომ ჩავივლი, მივესალმო და მომესალმოს-მეთქი.

ჯემალ სეფიაშვილი თავის მუსიკალურ მუზას ქართველ პოეტთა ლექსებში ჰპოვებდა. ამათგან გამორჩეულნი მორის ფოცხიშვილი და ჯანსუღ ჩარკვიანი იყვნენ. დღეს აღარც ერთია და აღარც — მეორე. ნეტავ, ქართველ პოეტთა შორის კვლავაც თუ იპოვის, თავისი მუზის გამაცოცხლებელთ?

ტარიელ ჭანტურია

ეს ,,ჭანთ ურია“ (მისივე გამონათქვამია) უკვე ორი რვიანისაკენ მიეშურება და სადაცაა ამ ასაკსაც მოილევს — დაბეჯითებით ამბობს, ორი ექვსიანი ხომ გამოვიარე (66 წლისა რომ გახდა), ორ შვიდიანსაც ხომ დავუქნიე ხელი (ეს, როცა 77 წლისა გახდა), ახლა ის უნდა ვნახო, ორი რვიანი რა არის, როგორი ფერ-ხორცი აქვსო. მე კი დიდი სურვილი მაქვს და მჯერა, ორ ცხრიანსაც გადალახავს და წუთისოფელს ისე ჭვრეტს, ყოფას ისეთი ირონიული ღიმილით შესცქერის, კვლავაც ისეთივე ცინცხალი აზროვნებისა იქნება, როგორიც ადრე იყო და დღეს არის. ტარიელი იმ პოეტთაგანია, რომლებიც დღევანდელობაზე მოწუწუნეთა ვიშვიშს ყავლს აცლის. დღეს ბევრი ჩივის მწერლობა — ლექსი, პოეზია, პროზა არავის უნდა, ქვეყანა პარლამენტართა, დიდმოხელეთა და კრიმინალთა საასპარეზოდ იქცა, ხოლო ქართული ტელევიზია ამათი ქიშპისა და კრიმინალთა ყოფის ქრონიკაა და სხვა აღარაფერიო. არც უამისობაა — ხალხს ისეთ სურათს წარმოუჩენენ, თითქოს ამ სახელმწიფოში არაფერი სასიკეთო არ ხდება. არადა, მინაც იხვნება, წიგნებიც იწერება, მეცნიერებიც ირჯებიან, ახალგაზრდობა კი ათას პროფესიულ საიდუმლოს სწვდება.

ტარიელ ჭანტურია ამ ფონზეც იმ შემოქმედად დარჩა, რომლის სიტყვას გულდაგულ უსმენენ. ერთობ სასიამოვნო და მრავლისაღმთქმელია ის, რომ ორი რვიანის მიჯნაზე მდგარ ორ ქართველ პოეტს, ახალი თაობის ყურადღება სდევს თან. ტარიელ ჭანტურია და ვახტანგ ჯავახაძე ხომ წინა საუკუნეში დაიბადნენ, დავაჟკაცდნენ და შემოქმედებითად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ისე ეკუთვნიან ჩვენს დროს, ისე გამოხატავენ მის მთავარ ტენდენციებს, ბარე ათი და მეტიც ორ სამიანს მიღწეული თუ გადაცილებულიც რომ ვერ დაიკვეხნის. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ ფაკულტეტზე, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ ოთარ ჭილაძე, რეზო ინანიშვილი, თამაზ ბიბილური, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე, ტარიელ ჭანტურია. ხომ არის ეს ქართული მწერლობის პატარა პანთეონი!

ამასწინათ ერთი საყურადღებო ფაქტის მოწმე შევიქმენი: ლიტერატურული საღამო ტარდებოდა ახალგაზრდებიც მოსულიყვნენ — მეცნიერნი, შემოქმედნი. ყველას იქით ჰქონდა ყური, ტარიელ ჭანტურია რას იტყვისო. ისიც კი სიამოვნებდათ, ტარიელ ჭანტურია და ესენი ერთ დარბაზში რომ ისხდნენ. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რაოდენ ამაოა მავანთა და მავანთა ფართი-ფურთი. ვიღაც ხმაურობს, ვიღაც დილა-საღამოს ტელეეკრანიდან ხალხს მოძღვრავს, ზოგჯერ თითსაც კი უქნევს, ჩემი რატომ არ შეისმინეთო, ტარიელი კი საბურთალოზე შინ ზის, კითხულობს, წერს, ხანდახან არც ბანქოს თამაშზე ამბობს უარს, ათასში ერთხელ თუ იტყვის რამეს და აი, როგორ უგდებენ ყურს, როგორ ელოდებიან მის სიტყვას, მისი ხმის გაგონებას.

უფალმა ინებოს ჩემი სურვილის ახდენა: ტარიელი უხმაუროდ აუვლის გვერდს ორ რვიანს, მერე ორ ცხრიანსაც გადალახავს და კვლავაც ასეთი იქნება: ცოტა ირონიული, სარკასტულიც კი. სხვაგვარი ტარიელი ვერც წარმომიდგენია!

თემურ ყვითელაშვილი

თემურ ყვითელაშვილს ვიცნობ. გამიჭირდება ვთქვა, ახლობლობა მაქვს-მეთქი. ჩვენი შეხვედრები, მასთან ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბრები (დიდი ოქროპირი არც უნდა იყოს), ერთმანეთს რომ გადავაბათ, ალბათ, ნახევარი საათი თუ გამოვა. ამიტომ არ ვიცი, როგორია — დამთმობი, თუ ჯიუტი, მომთხოვნი, თუ ცხოვრებაში, შემოქმედებაში იოლი გზების მაძებარი. არც ის ვიცი, როგორია წიგნთან მიმართებაში — არის თუ არა წიგნიერი კაცი. ადამიანის რაობაზე ფიქრისას, მისი წიგნიერება, ხომ ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. ამიტომ ის, რასაც თემურიზე ვწერ, ნაცნობი კაცის შთაბეჭდილება უფროა, ვიდრე მასთან სიახლოვით, გულდაგული დაკვირვებით განპირობებული. არ ვიცი რაოდენ ახლოს ვარ რეალობასთან, მაგრამ მაინც ვფიქრობ, სწორედ ასეთი უნდა იყოს: თემურის კონცერტებზე ვყოფილვარ, ტელევიზიითაც არაერთხელ მინახავს, მომისმენია მისი შესრულება, ასეთუისე კონტაქტიც მქონია და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ჯიუტი უნდა იყოს. დამყოლი, პროფესიაში იოლი გზის მაძებარი კაცი ისეთ შემოქმედებით დონეს ვერაფრით ვერ მიაღწევდა, როგორსაც თემური ეწია. ამათუიმ ნაწარმოების შესრულებისას, მისსავე სახეზე ამოიკითხავთ: ის, რასაც შემოქმედებითად აღწევს, დიდი, ჯიუტი შრომის ნაყოფია, ეს მტანჯველი და ამავე დროს ბედნიერების განმაპირობებელი შემოქმედებითი ღწვა, სახეზევე აწერია. ამას პირველი არ ვამბობ, ათასგზის უთქვამთ: სხვას, რომ სიხარული მოუტანო, სხვა რომ ბედნიერჰყო, თავად უნდა გასწირო ბევრი რამ: დრო, ენერგია, ჯანი. ზერელე, ჰაიჰარად მოფიქრალთ ჰგონიათ: ,,ასეთი რა მოხდა, აიღო და დაუკრა,“ ,,ნუ, რა არი, იმღერა (დაუკრა, დახატა, დაწერა) და გაგვახარა!“

საქართველოში გიტარისტი მსახიობის, მომღერლის, მოცეკვავისამებრ უზარმაზარ დარბაზებს ვერ გაავსებს. მისი მსმენელი სწორედ გიტარის ძლიერ მოტრფიალე ადამიანები არიან. თუმცა, თემურის კონცერტებზე თბილისსა, თუ სხვა ქალაქებში ე.წ. ,,ფართო“ მაყურებელიც ბევრი მინახავს. ამ რამდენიმე წლის წინათ, ისრაელში მიიწვიეს, იმ დღეებში მეც იქ ვიყავი და კომპოზიტორმა სოსო ბარდანაშვილმა წამიყვანა აშდოდში, კონცერტზე. სანაძლეოს ჩამოვალ იმ დიდ დარბაზში გიტარის მოტრფიალე 20-30 ადამიანი თუ იქნებოდა — უმეტესად არაქართველი ებრაელები, ე.წ. ,,საბრები“ (ისრაელში დაბადებულ-აღზრდილნი), მაგრამ ის ხალხიც ,,ფართო“ მაყურებელს რომ ვეძახით, სულგანაბული უსმენდა. ისინი კონცერტზე საქართველოდან ჩასული შემოქმედის-თემურ ყვითელაშვილის სახელმა მიიყვანა, მაგრამ ჭეშმარიტმა ხელოვნებამ მონუსხა. თემურიმ სწორედ თავგადადებული შრომით მიაღწია ასეთ დონეს. ამიტომ ვფიქრობ, ჯიუტი კაცი უნდა იყოს-მეთქი. ასეთნი ცოლს, შვილებს, საკუთარ ჯანმრთელობას აკლებენ ბევრ რამეს და ხელოვნებას სწირავენ. უკომპრომისობა მის ინტერვიუებშიც კარგად იკითხება — ერთ მისხალს არ დათმობს, უწინარესად, თავის თავს არ პატიობს — თავს ებრძვის, რომ სასურველ საშემსრულებლო დონეს მიაღწიოს და სხვას რატომ, რისთვის გაუიოლებს გზა-სავალს?

ამ პიროვნებისადმი ჩემი დამოკიდებულების თავი და თავი მისი პროფესიონალიზმია, მაგრამ განსაკუთრებული პატივისმცემელი მაშინ შევიქმენი, დედა რომ გარდაეცვალა — მიცვალებულის სულის საოხად, არაფერი დაუშურებია — დილა-საღამოს იმ ლოცვა- კურთხევას მიაგებებდა, რომელიც მიცვალებულის სულს შფოთვასა და მოუსვენრობას განარიდებსო, ამბობენ. არ ვიცი, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მიცვალებულთ რამდენად ეწევა ჩვენი გარჯა-ლოცვანი, მაგრამ ჩვენ კი ნამდვილად გვგვრის შვებას — მიცვალებულისათვის გავისარჯეთ ე.ი. მასთან კავშირს არ ვწყვეტთ.

„ლიტერატურული გაზეთი“ №6, 23 მარტი

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი და „ჯოინთის“ პირველი წარმომადგენელი კავკასიის ქვეყნებში — მენახემ ელაზარი გიწვევთ საქართველოში გამომავალი გაზეთ „მენორას“ დაარსების 25 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე.

„მენორას“ მეოთხედსაუკუნოვანი იუბილე მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

მივულოცოთ ჩვენც!

საღამო გაიმართება ბათ-იამში, „ეშქოლ ჰაპაისის“ დარბაზში — დეკელის ჩიხი №5 (შესასვლელი ჰარავ ლევის ქუჩიდან) 2018 წლის 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე.

„დედა ენის დღე“

დღე ქართული მარტო ენაა?
ქართული ქართველთ რწმენაა,
ღმერთია, ბედისწერაა,
ზღვა როა, იმოდენაა.

ჭაბუა ამირეჯიბი

ეს სტრიქონები მეტი სიმძაფრით აღიქმება დიასპორაში მცხოვრები ქართველებისათვის. ამიტომაც მოეყარათ თავი ისრაელში დიასპორის წარმომადგენლებს ღონისძიებაზე „დედა ენის დღე“, რომლის ინიციატორები გახლდათ დიასპორული ორგანიზაცია „მამული“– ის თავმჯდომარე ირაკლი კილაძე და ისრაელში ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი მარინა გელაშვილი. ამ გაერთიანებულ შეკრებაზე მოწვეულები გახლდნენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, მანანა დუმბაძე და ხათუნა პაპინაშვილი. ქართველ ებრაელთა თემის წამომადგენელთა დასწრება კი მოწმობდა იმას, რომ ისრაელშიც და საქართველოშიც ამ ორი ხალხის ძირძველ მეგობრობას მოფერება და გაფრთხილება სჭირდება. რა ბედნიერებაა, როცა ამას საქმიანი ქმედებით ადასტურებენ და არა რუპორით.

ატმოსფერო მართლაც საოცარი იყო იმ მოსაზრებით, რომ ყველას აერთიანებდა „დედა ენა“, მისდამი სიყვარული, მისი შენარჩუნების აუცილებლობა ყველგან, სადაც კი ქართველები სახლობენ ნებით თუ..... და რაც მთავარია, ზრუნვა ენის სიწმინდეზე. თავის გამოსვლებში მანანა დუმბაძემ, მარინა გელაშვილმა, ლია კრიხელმა და ირაკლი კილაძემ. მოიყვანეს სხვადასხვა დროს მოღვაწე დიდი ქართველი მწერლების, ენათმეცნიერებისა თუ საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამები, რომელშიც აშკარა იყო შიში ენის დაბინძურებისა და დამახინჯების გამო.

ცნობილი ადვოკატი, ბატ. მოშე საპირმა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის „მამულის“ იურიდიულად და კანონიერად დამტკიცებაში, თქვა რომ თუ ებრაული ყოფა საქართველოში ჩვენი წინაპრების დამსახურება იყო, აქაც მშობლებზეა დამოკიდებული თუ როგორ შეუნარჩუნებენ ენას ისრაელში დაბადებულ თაობას. პოეტმა ნანა დავარმა, მისთვის ჩვეული გრძნობით გაჟღენთილი ლექსები წაიკითხა, რითიც უმღერა ორ სამშობლოს. ქალ. ლილი კრიხელმაც წაიკითხა თავისი ლექსები. სიტყვებით გამოვიდნენ ქალ. ზიზი შაფთოშვიდი და ციალა იოსებაშვილი. ყველამ აღფრთოვანებით მიიღო ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფის დაარსება ქ. ლოდის ქართულ სახლში და ღია კარის დღე 12 მაისისთვის არის დაგაგმილი. ისრაელში საქართველოს საელჩოს თხოვნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო საკვირაო სკოლა გოგებაშვილის „დედა ენის“ სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო წიგნებით. პირელი და საკმაოდ სერიოზელი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ისღა დაგვრჩენია შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ „მამულსა“ და ქართული კულტურის ცენტრს.

დიდი მწუხარება და ტკივილით გამოიწვია

სიმონ ჯანაშვილის

უდროოდ გარდაცვალებამ.

სიმონ ჯანაშვილი და მისი მამა-პაპა ახალციხის ებრაელობის თვალსაჩინო ოჯახებს ქმნიდნენ და ქმნიან.

ბ-ნი სიმონი, მისი ვაჟი და ოჯახი აქტიურად არიან ჩამბული დღევანდელი საქართველოში დარჩენილი ებრაელობის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ახალციხიდან ისრელში ამოსული ებრაელობის ნათესავების, მეგობრების, ამხანაგებისა და ახლობლების სახელით: აშდოდი, ხულონ-ბათ იამი, ორ იეუდა, იერუსალიმი, კირიათ ათა და მოცკინი მწუხარებას გამოვთქვამთ და თანავუგრძნობთ მის მეუღლეს ქ-ნ ნაირას, ვაჟს იკას და რძალს, შვილებს და შვილიშვილებს.

ზიხრო იჰიე ბარუხ!

მენახემ ელაზარი (აკოშვილი)

გაზეთ „მენორას“ რედაქცია იუწყება, ისრაელში, ქ. ბეერ შევაში

ქ-ნი ლეა გაგულას (გაგულაშვილის)

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის მეუღლეს — რაბი აბრამ გაგულაშვილს, შვილებს: იაკობ და იცხაკ გაგულაშვილებს (გაგულათ).

დაინტერესებულ მკითხველს აქვე ვაუწყებთ, რომ ქ-ნი ლეას გარდაცვალების ოცდამეათე დღის ცერემონიალი გაიმართება 30 მაისს ქ. ბეერ შევაში (შეკრება: ბეერ შევაში, ევენ ეზრას ქუჩა 63).

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003